სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 თებერვალი, 2024 წ

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/16

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო–კვლევითი ერთეულების მიერ საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების (ლაბორატორიული კვლევის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N7 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N8 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N9 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის სხდომის №07-02/02 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ,,ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო–კვლევითი ერთეულების მიერ საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების (ლაბორატორიული კვლევის) განხორციელების წესი“ (წინამდებარე გადაწყვეტილების **N1 დანართი).**
2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ინსტიტუტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯემალ კარალიძე**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის
12 თებერვლის N07-01/16 გადაწყვეტილების
N1 დანართი

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო–კვლევითი ერთეულების მიერ საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების (ლაბორატორიული კვლევის) განხორციელების წესი

1. წინამდებარე წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ბსუ ან უნივერსიტეტი) დამოუკიდებელი სამეცნიერო–კვლევითი ერთეულების (შემდეგში - ინსტიტუტები) მიერ საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების (ლაბორატორიული კვლევის) განხორციელების პროცედურებს.
2. ბსუ-ს ინსტიტუტების სარგებლობაში გადაცემული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ლაბორატორიული აღჭურვილობის და მასალების) გამოყენებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურება (ლაბორატორიული კვლევა), ფიზიკური და იურიდიული პირების დაკვეთის საფუძველზე.
3. საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების (ლაბორატორიული კვლევის) საფასური (ტარიფი) განისაზღვრება შესაბამისი ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. წარმოდგენილი მომსახურების საფასურის (ტარიფის) ადეკვატურობაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ინსტიტუტი (შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში).
4. საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების (ლაბორატორიული კვლევის) შედეგად მიღებული ბსუ-ს შემოსავლები შეიძლება განაწილდეს შემდეგნაირად:
   ა) მომსახურების გაწევისათვის საჭირო მასალის ხარჯი და ინსტიტუტის შესაბამისი პერსონალის შრომის ანაზღაურება - მომსახურების საფასურის (შემოსავლის) არაუმეტეს 80%, ხოლო შემოსავლის არანაკლებ 20% მიემართება ბსუ-ს ერთიან შემოსავლებში;
   ბ) დაკვეთის შესასრულებლად საჭირო მასალის დამკვეთის მიერ მოწოდების შემთხვევაში, სხვადასხვა საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების (ლაბორატორიული კვლევის) ჩატარების შედეგად მიღებული შემოსავლებიდან, ინსტიტუტის პერსონალზე გასაცემი შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული იქნეს შემოსავლების არაუმეტეს 60%, ხოლო შემოსავლის არანაკლებ 40% მიემართება ბსუ-ს ერთიან შემოსავლებში (შენიშვნა: ასეთ შემთხვევაში მომსახურების გამწევი ინსტიტუტის უფლებამოსილი წარმომადგენელი - შემსრულებელი ვალდებულია აღრიცხოს დამკვეთის მიერ მოწოდებული მასალის რაობა/სახეობა და რაოდენობა და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი);
5. ინსტიტუტის მიერ საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურება (ლაბორატორიული კვლევის) უნდა განხორციელდეს შემდეგი პროცედურის დაცვით (შემდეგში - ეტაპები):

5.1. შესაბამისი დაკვეთის არსებობის შემთხვევაში ინსტიტუტის მომართვის/ინიციატივის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოიცეს ბრძანება საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების (ლაბორატორიული კვლევის) საფასურის (ტარიფის) და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების თაობაზე;

5.2. საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურების (ლაბორატორიული კვლევის) გაწევის თაობაზე ბსუ-სა და მომსახურების მიმღებ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება;

5.3. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო–კვლევითი ერთეულების მიერ საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურება (ლაბორატორიული კვლევის) ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის მიერ განხორციელდეს მათი თანხმობით, დამატებითი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, მხოლოდ მომსახურების განხორციელების შესახებ გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.